community

The New Apostolic Church around the world

04/2024/GE

უწმიდესი რწმენა

რედაქციისგან
იესო ლოცვას გვასწავლის

ღვთისმსახურება
ცხოვრება ყოვლადწმიდა
რწმენაზე აღაშენეთ

ეკლესიის მოძღვრება
განსვენებულთა არსი
პეტრეს მსახურება

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 იესო ლოცვას გვასწავლის

ღვთისმსახურება

4 ცხოვრება ყოვლადწმიდა რწმენაზე აღაშენეთ

რეგიონალური ნაწილი

10 პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი თბილისში

საბავშვო კუთხე

12 დავითი საულისთვის უკრავს

14 სტუმრად მაკაფუისთან აკრაში (განა)

დოქტრინა

16 მოსაზრებანი განსვენებულთა არსთან დაკავშირებით

18 როგორ იცავს ღმერთი ეკლესიას

■ თავფურცელის ფოტო: ბერნჰარდ ჰოლდნერი
■ უკანა გვერდის ფოტო: ოლივერ რიუტენი

იესო ლოცვას გვასწავლის

ფოტო: საერთაშორისო ახსე

მოდით, წელს კიდევ ერთხელ განსაკუთრებულად გავამახვილოთ ყურადღება ლოცვაზე. ჩვენი დევიზია: „ლოცვა მოქმედებს!“

მოწაფეებმა სერიოზულად ჰკითხეს უფალს: „და როგორ უნდა ვილოცოთ, რომ იმოქმედოს?“ მან აუხსნა, თუ როგორ უნდა ილოცონ და „მამაო ჩვენო“ ასწავლა. ეს ლოცვა, რომელიც თავად უფალ იესოსგან მოდის, ჩვენთვის ისევ და ისევ მნიშვნელოვანია. ლოცვამ რომ იმოქმედოს, მისი სიტყვები უნდა ვიცოდეთ. ისე უნდა წარმოვთქვათ იგი, როგორც იესომ გვასწავლა. მაგრამ ამ სიტყვებით იესო ქრისტეს აზრისამებრაც უნდა ვილოცოთ - ე. ი., არა მარტო წარმოვთქვათ სიტყვები, არამედ იესოს აზრი ჩავაქსოვოთ მათში.

ჩვენ ღმერთის, მამის მიმართ ასე ვლოცულობთ: „დაე, აღსრულდეს ნება შენი!“ ეს ლოცვა, მართლაც, უცნაურად ჟღერს, ვინაიდან გვწამს და ვიცით, რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა.

ღმერთი ყოვლისშემძლეა, ის ზუსტად იმას აკეთებს, რაც სურს. მაშასადამე, იმისათვის არ უნდა ვილოცოთ, რომ მოწყალე ღმერთმა ის გააკეთოს, რაც სურს. ის ყოველთვის იმას აკეთებს, რაც სურს, ის ყოვლისშემძლეა. ჩვენ იმაზე კი არ ვლოცულობთ, რომ ღმერთმა მისი ნების შესრულება შეძლოს, არამედ იმაზე, რომ ჩვენ შევასრულოთ მისი ნება.

ნებისმიერმა ადამიანმა თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ღვთის ნებას შეასრულებს თუ საკუთარ ნებას. სწორედ ეს არის ლოცვის აზრი. ლოცვაში არ ვამბობთ: „ღმერთო, გააკეთე ის, რაც გსურს“, არამედ ვამბობთ: „მომეც საშუალება, რომ შენი ნება შევასრულო.“

გულითადი მოკითხვებით, თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

„აღაშენეთ თქვენი თავი უწმიდეს რწმენაზე“



ფოტოები: იონას შვენგლერი, ბერნჰარდ ჰოლდენერი

იუდ. 20

„ხოლო თქვენ, საყვარელნო, აღაშენეთ თქვენი თავი უწმიდეს რწმენაზე, ილოცეთ სულიწმიდით.“

საყვარელო და-ძმანო, სულთმოფენობაზე (ორმოცდაათობაზე) არა მხოლოდ სულიწმიდის გარდამოსვლა მოხდა, არამედ სულიწმიდის ძალით მოციქულთა მოღვაწეობაც დაიწყო. ამ ძალით აღჭურვილმა პეტრემ სახარება იქადაგა. ის ქადაგებდა, რომ იესო ქრისტე მესიაა, ღვთის მიერ მოვლენილი, ჩვენთვის მოკვდინებული, მკვდრეთით აღმდგარი და ზეცად ამაღლებული. იესომ იუწყა, რომ მეორედ მოვიდოდა და იმათ გადაარჩენდა, ვისაც სწამს მისი, ვინც მოინათლა და სულიწმიდის მადლი მიიღო. სულთმოფენობაზე წარმოთქმული ქადაგება შეიძლება შევაჯამოთ, როგორც მოციქულის პირველი ქადაგება სულიწმიდის ძალით.

როგორც ბიბლიის კითხვისას (საქმე 2, 36-43) მოვისმინეთ, მაშინ სამი ათასმა კაცმა ირწმუნა ეს ქადაგება და მოინათლა. პირველი თემები მტკიცენი იყვნენ მოციქულთა მოძღვრებასა და სახარების უწყებაში. დროთა განმავლობაში აქა-იქ ცრუმოძღვრებიც გამოჩნდნენ, ისინი ავრცელებდნენ სწავლებას, რომელიც არ შეესატყვისებოდა

მოციქულთა მოძღვრებას. მაშინ მოციქულებსა და სხვა პასუხისმგებელ პირებს, როგორიც იუდა იყო, ამის თქმა მოუწია: „არ მოუსმინოთ მათ, მტკიცენი იყავით მოციქულთა მოძღვრებაში, დაიცავით სახარება! მხოლოდ დაცვა არ კმარა, თქვენი ცხოვრება რწმენაზე უნდა აღაშენოთ, რაც ცხოვრების სახარებისამებრ, მოციქულთა მოძღვრებისამებრ წარმართვას ნიშნავს.“ დღეს ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია ეს. დღესაც არიან მსგავსი ცრუმოძღვრები. სულიწმიდის მადლის წყალობით, რომელიც მივიღეთ, სულთა გარჩევის, ცრუმოძღვართა ამოცნობის და მათი უარყოფის უნარი შეგვწევს. ამაში სულიწმიდა გვეხმარება ქადაგების, ჩვენი სულიერი მამებისა და ლოცვის მეშვეობით.

იუდა აქ წერს, რომ მოციქულთა მოძღვრების რწმენა საკმარისი არ არის, რომ ჩვენი ცხოვრება რწმენაზე უნდა აღვაშენოთ. კონკრეტულად ეს შემდეგს ნიშნავს: ჩვენი გადაწყვეტილებები ყოველდღიურ ცხოვრებაში სახარებამ, მოციქულთა მოძღვრებამ, უნდა განსაზღვროს. დიდია იმის საფრთხე, რომ რწმენა მხოლოდ თეორიულად იარსებებს. მართალია, ახალსამოციქულო ქრისტიანები ვიქნებით, სახარებისა და მოციქულთა მოძღვრების რწმენაც გვექნება, მაგრამ ეს რწმენა მხოლოდ უმნიშვნელოდ იმოქმედებს ჩვენს გადაწყვეტილებებზე ცხოვრებაში. პრინციპში იმას გავაკეთებთ, რაც მოგვესურვება. ეს საშიშია ჩვენი ხსნისათვის. ამიტომ სულიწმიდა გვეუბნება: „ყურადღებით იყავით, მარტო რწმენა საკმარისი არ არის, მან რაღაც შედეგიც უნდა გამოიღოს.“ და თუ ეს ასე აღარ არის, ამას თავისი მიზეზები შეიძლება ჰქონდეს. მინდა ორი მათგანი დავასახელო: შეიძლება იმედგაცრუება დაგვეუფლა, ვინაიდან ის, რისიც გვწამდა, არ მოხდა და ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. ან ეჭვი შეგვეპარა, ვინაიდან ყველაფერი შეიცვალა, მაგრამ რაღაც-რაღაცეებს ძველებურად ქადაგებენ. ისმის კითხვა: თუ ეს არ გამართლდა, რატომ გამართლდება სხვა დანარჩენი? მე კარგად ვხედავ ამ ფენომენს. ზოგიერთ და-ძმას ეჭვი ეუფლება, როცა ხედავენ, რომ ის, რასაც ადრე ასწავლიდნენ, ახლა სულ სხვაგვარად არის.

დღევანდელ გზავნილს იუდა აქ მოკლედ აჯამებს: „აღაშენეთ თქვენი თავი უწმიდეს რწმენაზე“. ჩვენ უწმიდეს რწმენაზე უნდა მოვახდინოთ ფოკუსირება. უწმიდესი რწმენა არის ის, რაც უშუალოდ ღვთისგან, მამისგან, სულიწმიდისგან და იესო ქრისტესგან მოდის. რატომ ვამბობ ამას? იმიტომ, რომ ჩვენი პირადი რწმენა მრავალფენოვანია. ის, უპ. ყოვლისა, ეყრდნობა ბიბლიას, სახარებას, მოციქულთა მოძღვრებას ბიბლიური გაგებით. ე. ი., დღევანდელ ქადაგებას კი არა, არამედ იმას, რასაც იმჟამინდელი მოციქულები ქადაგებდნენ და აღწერდნენ. ეს არის ჩვენი რწმენის საფუძველი.

ამას კიდევ ერთი რამ ემატება: პირველ რიგში, ჩვენი აღზრდა. ბევრი ჩვენთაგანი ახალსამოციქული რწმენით აღიზარდა; ჩვენი მშობლები, ჩვენი წინამორბედები, მღვდელმსახურები, რჩევა-დარიგებებსა და მითითებებს გვაძლევდნენ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოვპყრობოდით შესაწირს კურთხევის მისაღებად, როგორ უნდა გველოცა, კურთხეულნი რომ ვყოფილიყავით, როგორ უნდა მოვქცეულიყავით. ეს არის მთელი რიგი რჩევებისა, რომლებიც ყველა ჩვენთაგანმა აღზრდის წყალობით მიიღო.

ცხოვრება ყოვლადწმიდა რწმენაზე აღაშენეთ

შემდეგ ასაკი მოგვემატა და გავიზარდეთ, გამოცდილებები დავაგროვეთ და მივხვდით: თუ ყველაფერს ასე წარვმართავთ და ამ გზაზე ვივლით, მაშინ გვიპასუხებს მოწყალე ღმერთი და დაგვეხმარება. ეს რაღაც მშვენიერი რამ არის, ეს სიმდიდრეა.

გარდა ამისა, ჩვენი რწმენა იმ მრავალ ქადაგებას ეყრდნობა, რომლებიც ათწლეულების მანძილზე მოგვისმენია. ამაში შედის ჩვენთვის ნაცნობი ბიბლიური სიტყვების განმარტებები და მხატვრული მაგალითები, რომლებიც უბრალოდ ჩვენ გვეკუთვნის, ისტორიები, რომლებიც მოვისმინეთ. ყოველივე ეს ჩვენი რწმენის ნაწილი გახდა და ესეც რაღაც მშვენიერია. ის ჩვენი რწმენის საგანძურს ეკუთვნის.

და ამას, ბოლოს, მიღებული დაპირებები ემატება: ნუ ნერვიულობ, გამოჯანმრთელდები, მოწყალე ღმერთი დაგეხმარება. აქ ბევრი რამის მოყოლა შეიძლება იმასთან დაკავშირებით, რომ არაერთხელ გვქონია ასეთი დაპირებები. ისიც გამოგვიცდია, რომ მოციქულს ან მღვდელს რაღაც უთქვამს ჩვენთვის და ასრულებულა. ჩვენ ვლოცულობდით და გვწამდა, მოწყალე ღმერთი კი გვეხმარებოდა. ეს არის ჩვენი რწმენის მთელი სტრუქტურა.

მაგრამ ამის უწმიდეს რწმენასთან გაიგივება არ შეიძლება; ვინაიდან ყველაფერ ამაში არის ის, რაც პირდაპირ ღვთისგან მოდის, ოღონდ შერეული იმასთან, რაც ადამიანებისგან მოდის. სულაც არ მინდა მისი დაკნინება, ესეც ძალიან ძვირფასია, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ყველგან



და ყველასთვის მისაღები არ არის. ამას თავადაც ვამჩნევთ. მაგ., ხუთჯერ გავაკეთეთ ასე და ხუთჯერვე გამოვიდა. მაგრამ მეექვსედ არა. რატომ? რაღაც გვითხრეს, ჩვენც დავიჯერეთ, ვილოცეთ, ყველაფერი გავაკეთეთ, რაც გვითხრეს, მაგრამ დანაპირები არ შესრულდა. ზოგიერთ ქვეყანაში ასე იქცევიან, ზოგში კი - სხვაგვარად. მაგრამ ღვთის სიტყვა ყოველთვის და ყველგან ძალაშია. იუდა აქ გვირჩევს, რომ უწმიდეს რწმენაზე მოვახდინოთ ფოკუსირება; იმაზე, რაც ნამდვილად ღვთისგან მოდის და, რასაც მოქმედების ძალა აქვს შენთვის და მთელი ღვთის ხალხისთვის, და ეს არის სახარება, მოციქულების მიერ ნაქადაგები იესო ქრისტეს მოძღვრება.

ღმერთი სიყვარულია, მას ადამიანების ხსნა სურს.

ჩვენი რწმენის ეს ძირითადი ელემენტები ჩვენს მრწამსშია შეჯამებული, რწმენის ათ სიმბოლოში (დებულებაში). ამისგან შედგება ჩვენი უწმიდესი რწმენა. ჩვენ გვწამს ღმერთის, ყოვლისშემძლე შემოქმედის. მისთვის შეუძლებელი არაფერია, ის აკეთებს ზუსტად იმას, რაც სურს. გვწამს იესო ქრისტესი. გვწამს მისი მოვლინების, სიკვდილის, აღდგომის, ამაღლების, მეორედ მოსვლისა და მოძღვრების. მან გაგვიცხადა ღმერთი ისეთი, როგორიც არის: ღმერთი სიყვარულია, მას ადამიანების ხსნა სურს. ჩვენ ამის გვწამს! გვწამს სულიწმიდის, რომლის მეშვეობითაც ღმერთი დღეს ამქვეყნად სუფევს. მისი დანახვა არ შეგვიძლია, მაგრამ მისი ზემოქმედების აღქმა ძალგვიძს.

ჩვენ გვწამს საუკუნო სიცოცხლის. ხსნა, რომელსაც ღმერთი მოგვანიჭებს, ადამიანების ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაში მდგომარეობს. ამის მიღწევას როგორც პირმშოები ისე შევძლებთ და ღვთის სასუფეველში უკვე იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისას შევალთ. სხვა ადამიანებს კი იმის შესაძლებლობა მიეცემათ, რომ მშვიდობის სასუფეველში მოიპოვონ ხსნა და საუკუნო სიცოცხლე. მერე ყველა, ვინც გადარჩება, ახალ შემოქმედებაში იცხოვრებს ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაში. ჩვენ ისიც გვწამს, რომ ხსნის მისაღწევად ქრისტეს ეკლესია გვჭირდება. ის აუცილებელია. ჩვენ გვჭირდება საიდუმლოები, გვჭირდება იესო ქრისტეს მიერ მოვლენილი მოციქულები და მოციქულთა მიერ არჩეული მღვდელმსახურები, რომლებიც მოციქულთა ძალაუფლების ნაწილით არიან აღჭურვილნი.

ეს არის ჩვენი უწმიდესი რწმენა. ამასთან დაკავშირებით უკანასკნელ წლებში საერთოდ არაფერი შეცვლილა. ის მთელ მსოფლიოში, აფრიკაში, ამერიკაში, ყველგან მოქმედია. მოდით, ამ ბაზისზე აღვაშენოთ ჩვენი ცხოვრება. დაე, ყველა ამ ელემენტისადმი რწმენამ, რომელიც ხუთამდე

დავიყვანე, განსაზღვროს ჩვენი გადაწყვეტილებები ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რას ნიშნავს ეს? ჯერ ერთი იმას, რომ იესო ქრისტეს სიტყვას სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩემთვის, ვიდრე იმას, რასაც ადამიანები მეუბნებიან. რაც არ უნდა მოხდეს, მე ღმერთის ყოვლისშემძლეობასა და სიყვარულს ვენდობი. ამის დაკონკრეტება ძალიან მალე ხდება, როცა ყოველდღიურ ცხოვრებაში საქმე გადაწყვეტილებების მიღებას ეხება.

საუკუნო სიცოცხლის რწმენას შედეგად მოსდევს ის, რომ ღმერთთან საუკუნო თანაზიარება მის სასუფეველში უმნიშვნელოვანესი ხდება ჩემთვის. ეს ყოველთვის პრიორიტეტულია. მაგრამ მე დღესვე და აქვე მინდა, რომ იესოსთან ერთად ვიყო, თანაზიარება მქონდეს მასთან. აი, ეს განსაზღვრავს ჩემს ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებს.

ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, რომ იესოს მოძღვრების მიმართ რწმენას შედეგად მოჰყვეს ღმერთისა და მოყვასის სიყვარულის მცნების დაცვა. არაერთხელ მითქვამს, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანია: ღმერთის სიყვარული ნიშნავს იმას, რომ ყველაფერს, რასაც ღვთისათვის ვაკეთებ, მისდამი სიყვარულით ვაკეთებ და არა ანგარიშიანობით. დავუბრუნდები ჩვენთვის მოცემულ კარგ რჩევა-დარიგებებს. ყველაფერი ძალიან კარგია. მაგრამ ზოგჯერ პატარა პრობლემა მექმნება იმასთან დაკავშირებით, რომ დროდადრო ანაგრიშიანობასაც აქვს ადგილი: „თუ ამას გააკეთებ, მაშინ მოწყალე ღმერთი მოგცემს ამასა თუ იმას.“ მაგრამ ეს სიყვარული არ არის. უნდა ვიზარდოთ სიყვარულში და ისე გვიყვარდეს, როგორც იესო ქრისტეს უყვარდა, ანგარიშიანობის გარეშე. როცა მოწყალე ღვთისათვის რაღაცას ვაკეთებთ, ვიცავთ მის მცნებებს, ვემსახურებით, ამას მხოლოდ ერთი მიზეზით ვაკეთებთ: იმიტომ, რომ ვუყვარვართ მას. იმიტომ, რომ ძალიან ბევრს გვაძლევს, უკვე საკმაოდ ბევრი მოგვცა და კიდევ ბევრს მოგვცემს. ამ სიყვარულმა უნდა განსაზღვროს ჩვენი გადაწყვეტილებები. გაუმჯობესების პოტენციალი ჯერ კიდევ არის.

ცხადია, მე მიყვარს ჩემი მოყვასი! მოყვასის სიყვარულმაც საკმაოდ კონკრეტულად უნდა განსაზღვროს ჩვენი გადაწყვეტილებები ყოფით ცხოვრებაში. ზოგჯერ ეს სიყვარული უფრო თეორიულია. ბევრი სიტყვა, მაგრამ, სამწუხაროდ,

სამხ. მოციქული ედი ინსუგროჰო

სამხ. მოციქულები მარცხნიდან მარჯვნივ: რაინერ შტორკი, კუბუბ ზოკო, მიხაელ დეპნერი, პეტერ შულტე და მიხაელ ერიხი

სამხ. მოციქული ენრიკე მინიო

ცოტა საქმე. ამასთან დაკავშირებით აფრიკაში ერთი მშვენიერი ისტორია არსებობს:

სასულიერო პირი ეკითხება კაცს: „საერთოდ გიყვარს შენი მოყვასი?“ „რა თქმა უნდა!“, პასუხობს კაცი. „ე. ი., ახლა ორი სახლი რომ გქონდეს, მისცემდი ერთს ღარიბს?“ „რა თქმა უნდა, მე მიყვარს ჩემი მოყვასი!“ „ორი მანქანა რომ გქონდეს, ერთ მანქანას მისცემდი ღარიბს?“ „რა თქმა უნდა, მე ხომ მიყვარს ჩემი მოყვასი!“ როცა სასულიერო პირმა კაცს ჰკითხა: „ორი პალტო რომ გქონდეს, მისცემდი ერთ პალტოს ღარიბს?“ ასეთი პასუხი მიიღო: „არა!“ „როგორ თუ არა?“ იკითხა სასულიერო პირმა. კაცმა უპასუხა: „იმიტომ, რომ ორი პალტო მაქვს!“

ერთი პატარა ისტორია აფრიკიდან, მაგრამ ბევრისმთქმელი. მეტს არაფერს დავუმატებ. ჩემი თხოვნა იქნება, დაიმახსოვროთ ეს - საკუთარ თავსაც ვგულისხმობ. კარგია სიტყვები, მაგრამ საქმეებიც საკმაოდ კონკრეტული უნდა იყოს. უწმიდეს რწმენაში შედის შემდეგი: იესო ქრისტე ჩვენგან იმას მოელის, რომ გვიყვარდეს ღმერთი ყველაფერზე მეტად და მოყვასი როგორც საკუთრი თავი. და ეს შიგადაშიგ კონკრეტულადაც უნდა გამოვლინდეს.

ბოლო პუნქტი: გვწამს, რომ ხსნის მისაღწევად ეკლესია, მოციქულობა, საიდუმლოები და მღვდელმსახურები აუცილებელია. და-ძმანო, მოდით, ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტოთ, რომ ეკლესია, უპ. ყოვლისა, ჩვენი ხსნისთვის არის მოცემული. ბუნებრივია, არსებობს მატერიალური გარემოებანიც, როგორიცაა მშენებლობა, ორგანიზაცია, სხვადასხვა საქმიანობა. ეს ყველაფერი ნორმალურია და მნიშვნელოვანიც. მაგრამ როცა ეკლესიას ვეკუთვნით, დავდივართ ღვთისმსახურებაზე და თემის ნაწილი ვართ, ამას, უპ.

პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი სულთმოფენობისადმი მიძღვნილ ღვთისმსახურებაზე ლუცერნში (შვეიცარია)

ყოვლისა, იმიტომ ვაკეთებთ, რომ ჩვენი ხსნისათვის არის აუცილებელი. ყველა დანარჩენი ნამდვილად მეორეხარისხოვანია. მეორეხარისხოვანი საკითხებით გამოწვეულმა ბრაზმა იქამდე არ უნდა მიგვიყვანოს, რომ ეკლესიაში აღარ წავიდეთ. ეკლესია ერთი ჩვეულებრივი ორგანიზაცია არ არის, ერთი კარგი გაერთიანება. ის ღმერთმა მიბოძა, რამეთუ ხსნას მივაღწიო. ასეთია ჩვენი რწმენა, მოდით, დავიცვათ იგი. ამ რწმენამ უნდა განსაზღვროს ჩვენი გადაწყვეტილებები. მოდით, ყურადღება ჩვენი რწმენის უწმიდეს ნაწილზე გავამახვილოთ, ჩვენს მრწამსზე. ყველა დანარჩენი კარგია, მნიშვნელოვანი და ღირებული, მაგრამ მათი გაიგივება უწმიდეს რწმენასთან არ შეიძლება. მოდით, ამაზე მოვახდინოთ ფოკუსირება.

ამაში მოწყალე ღმერთი გვეხმარება, მან კარგი საშუალება მოგვცა: ლოცვა. აქ წერია: „... ილოცეთ სულიწმიდით.“ რატომ? იმიტომ, რომ ეს ურთიერთკავშირშია. ერთი რომ გავაკეთოთ, ამისათვის მეორეც უნდა გავაკეთოთ. თუკი ღვთის მიმართ სულიწმიდით ვილოცებთ, მოწყალე ღმერთი დაგვეხმარება, რომ უწმიდეს რწმენაზე მოვახდინოთ ფოკუსირება და აღშენება. ის, ვისაც ჩვენი ხსნა სურს, ყოვლისშემძლე ღმერთია, სიყვარულის ღმერთი. თუკი მის მიმართ ვილოცებთ, სულიწმიდა გვეტყვის: „არ დაგავიწყდეს, რა გაგიკეთა ღმერთმა, რას გიკეთებს და რას გაგიკეთებს.“ უკვე ბევრი რამ გაკეთდა. სულიწმიდა გვეუბნება, რომ საუკუნო სიცოცხლეზე უნდა მოვახდინოთ ფოკუსირება. როცა სულიწმიდით ვლოცულობთ, ლოცვის შინაარსი ასეთია: მოწყალე ღმერთო, განამტკიცე ჩემი რწმენა, უშველე ჩემს ურწმუნოებას, გააძლიერე ჩემი სიყვარული შენდამი, გააძლიერე ჩემი სიყვარული მოყვასისადმი.

ჩვენ მოყვასისათვის ვლოცულობთ, პირველ რიგში კი, მისი ხსნისათვის: „მოწყალეო ღმერთო, დამეხმარე, რომ ინსტრუმენტი გავხდე შენს ხელში, რამეთუ ადამიანთა ხსნაში ჩემი წვლილის შეტანა შევძლო.“ ჩვენ ვერ მივუთითებთ ღმერთს, თუ როგორ მოექცეს ჩვენს მოყვასს, მაგრამ ვევედრებით, რომ ხსნის მიღწევაში დაეხმაროს მას. და ბოლო თხოვნა, რომელსაც სულიწმიდის მიერ შთაგონებულნი ღვთის წინაშე წარმოვთქვამთ: „უფალო, მოდი მალე!“

ეს არის დღევანდელი გზავნილი. მოდით, ჩვენი რწმენის ძირითად ელემენტებზე მოვახდინოთ ფოკუსირება. მათ უნდა განსაზღვრონ ჩვენი ცხოვრება და გადაწყვეტილებები. ღვთისგან დახმარებას მაშინ ვიღებთ, როცა სულიწმიდით ვლოცულობთ. შეიძლება, ერთი სურვილი გამოვთქვა? კარგი იქნებოდა, თუ მომდევნო ღვთისმსახურებებზე მქადაგებლები ამ აზრს კიდევ ერთხელ დაუბრუნდებიან და გაავრცობენ, დაე, თუნდაც არ ეწეროს იგი „ძირითად აზრებში“. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს გზავნილი ნამდვილად შეეხოს გულს.

ძირითადი აზრები

- მოციქულები სულიწმიდის ძალით ქადაგებენ სახარებას.
- ჩვენ გვწამს მათი მოძღვრების და ცხოვრებას ამ მოძღვრებისამებრ წარვმართავთ.
- სულიწმიდით წარმართულნი ვადიდებთ ღმერთს, ვითხოვთ მისგან წყალობას, ვშუამდგომლობთ ეკლესიას და უფლის მეორედ მოსვლას ვევედრებით მას.

პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი თბილისში

ძმების ოთახში

ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.

საქართველო/თბილისი. 2024 წლის ივლისში სომხეთში ვიზიტის დასრულების შემდეგ პირველმოციქული შნაიდერი საქართველოს ესტუმრა. ღვთისმსახურება მან აქ ადგილობრივ ახალსამოციქულო თემში ჩაატარა.

სომხეთში სტუმრობისა და სომხეთის ქალაქ ვანაძორში ჩატარებული ღვთისმსახურების შემდეგ პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი, სამხ. მოციქული იურგ ცბინდენი (შვეიცარია), სამხ. მოციქული შტეფან პიოშელი და მოციქული ვასილი კონე (რუმინეთი და მოლდავეთი) სხვა თანმხლებ პირებთან ერთად პარასკევ საღამოს, 19 ივლისს, თბილისში ჩამოვიდნენ. 160 კილომეტრიანი მთიანი გზის გასავლელად მათ სამი საათი დასჭირდათ.

ღვთისმსახურება პირველმოციქულმა თბილისის ავლაბრის ეკლესიაში შაბათს, 14 საათზე, ჩაატარა, რომელსაც 130 ახალსამოციქულო ქრისტიანი ესწრებოდა ხუთი ქართული თემიდან, ასევე მორწმუნენი აზერბაიჯანიდან. მორწმუნეთა უმრავლესობა შორიდან ჩამოვიდა ავტობუსებით. IPTV-ის მეშვეობით ღვთისმსახურების გადაცემა ბაქოშიც განხორციელდა.

ქადაგებას პირველმოციქულმა საფუძვლად დაუდო ციტატა ესაიას წიგნიდან 62, 1: „სიონის გამო არ დავდუმდები და ისრაელის გამო არ დავმშვიდდები, სანამ არ გამოვა მისი სიმართლე, როგორც ნათება, და მისი ხსნა, როგორც ანთებული ჩირაღდანი“, და აღნიშნა, რომ ღმერთი ჩვენი ხსნისათვის იღვწის.

პირველმოციქულმა შნაიდერმა ესაიას დროს იერუსალიმში მცხოვრები ხალხის მძიმე სიტუაცია გაიხსენა. ისინი თავიანთ ბედს ღვთიურ სასჯელად თვლიდნენ და მიაჩნდათ, რომ ღმერთი მათ ლოცვებს მათი ორგულობის გამო უგულვებელყოფდა. თუმცა ღმერთმა წინასწარმეტყველის პირით აცნობა, რომ მას არასოდეს შეუწყვეტია მათი სიყვარული, მათთან საუბარი და მათდა საკეთილდღეოდ მოქმედება. „ღმერთს უყვარს ცოდვილი“, განაცხადა პირველმოციქულმა. მას არც ადამსა და ევაზე უთქვამს უარი და ცოდვის ტყვეობიდან მათი გათავისუფლების გეგმაც დასახა.

ამიტომაც უბედურება, რომელიც ადამიანს ატყდება თავს, ღვთიური სასჯელი არ არის. „ღმერთი უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანებს არ ტოვებს იმის გამო, რომ შორს არიან ისინი მისგან“, აღნიშნა პირველმოციქულმა. არსებულ ვითარებას ღმერთი სახარების უწყებით ეხმაურება.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა ზოგჯერ ისეთი გრძნობა გვეუფლება, რომ ღმერთი აღარ ისმენს ჩვენს

პირველმოციქული ერთმორწმუნე და-ძმებთან ერთად

მარჯვნიდან: სამხ. მოციქული შტეფან პიოშელი, პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი, სამხ. მოციქული იორგ ცბინდენი, მოციქულები ვასილი კონე და რენე ფოლმანი

თხოვნებს და არ ცვლის არსებულ მდგომარეობას, არ წყვეტს იგი ჩვენთან ლაპარაკს. მას ყოველთვის აქვს გამოსავალი ჩვენთვის, და ის გზა, რომელსაც იგი გვთავაზობს, საუკეთესოა“. ღმერთი არასდროს იღლება იმაზე მითითებით, თუ რა არის სასიკეთო ადამიანების ხსნისათვის.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ არ შევწყვიტოთ ღმერთთან საუბარი, გავითავისოთ მისი სიტყვა და დაუღალავად შევასრულოთ მისი ნება, მაშინაც კი, თუ შედეგებს მაშინვე ვერ ვხედავთ. „იმისათვის, რომ ქრისტეს დავემსგავსოთ, მოდით, მზად ვიყოთ შეცვლისათვის“, მოუწოდა პირველმოციქულმა ერთმორწმუნე და-ძმებს. და ბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიუწყოთ სახარება ისე, რომ არ მივცეთ ჩვენს გარემოში არსებულ გულგრილობასა და წინააღმდეგობას ჩვენი სასოწარკვეთის საშუალება.

თანაიქადაგეს სამხ. მოციქულმა შტეფან პიოშელმა და მოციქულმა ვასილ კონემ. ღვთისმსახურებაზე გალობდა გუნდი ორღანის თანხლებით. ერთი საგალობელი დუეტში შეასრულეს მღვდელმა დონალდმა და მისმა მეუღლემ, ერთმორწმუნე დამ, კლერმა.

შაბათს დილით, ღვთისმსახურების დაწყებამდე, სტუმრებმა სამების ტაძარი მოინახულეს. ნაშუადღევს კი, ღვთისმსახურების შემდეგ, პირველმოციქულმა და მისმა თანმხლებლებმა ძველ თბილისში გაისეირნეს. დელეგაციამ, პირველმოციქულის ხელმძღვანელობით, თბილისი კვირას დატოვა.

დელეგაცია ძველ თბილისში



დავითი საულისთვის უკრავს

1. მეფ. 16-20-ის მიხედვით

მეფე საულმა შესცოდა. მან შეამჩნია, რომ ღმერთი აღარ იყო მის გვერდით. ღმერთმა უკვე ახალი მეფე მოძებნა. საულს ეშინოდა და ცუდ ხასიათზე იყო. მისი მსახურები ისეთი ვინმეს მოსაძებნად გაუდგნენ გზას, ვინც ქნარზე დაუკრავდა მეფის გასამხნევებლად. ვიღაცამ დავითის შესახებ უამბო მათ, და ასე მოხვდა დავითი მეფის კარზე.

ყოველ ჯერზე, როცა მეფე საული ცუდ ხასიათზე იყო, დავითი ქნარზე უკრავდა მისთვის და ისევ ამხნევებდა. მეფეს უყვარდა დავითი.
შემდეგ დავითმა გოლიათი დაამარცხა. მეფე საულმა იეჭვიანა და შეშურდა დავითის. ვინაიდან კარგი მებრძოლი იყო ის, ისრაელიანები მასზე ამბობდნენ: „შემუსრა საულმა თავისი ათასები, დავითმა - ათიათასები.“
დავითი ახალი გმირი გახდა და ხალხს ის უფრო მოსწონდა, ვიდრე მეფე. გარდა ამისა, ღმერთმა საულის მემკვიდრედ დავითი ამოირჩია.

საული რისხვამ შეიპყრო და ერთ დღესაც განრისხებულმა შუბი ესროლა დავითს. ორჯერ აისხლიტა მან შუბი. მაგრამ საულმა მისი სიკვდილი განიზრახა.

იონათანმა, საულის ძემ, მამასთან უშუამდგომლა დავითს: „ის მუდამ შენთვის იბრძოდა, დაამარცხა გოლიათი, არასოდეს არაფერი დაუშავებია შენთვის, რატომ გინდა უდანაშაულოს მოკვლა?“ საული შეჰპირდა თავის ძეს, რომ არაფერს დაუშავებდა დავითს.

კიდევ ერთხელ დაბრუნდა დავითი ბრძოლიდან გამარჯვებული. შემდეგ ასეთი რამ მოხდა: მეფეს დაავიწყდა მიცემული პირობა და კიდევ ესროლა შუბი დავითს იმ დროს, როც ის მისთვის ქნარზე უკრავდა. მან ისევ მოასწრო თავის არიდება და შუბი კედელს მოხვდა. იმავე ღამეს დავითი გაიქცა.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 02. 2024 წ.; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად მაკაფუისთან აკრაში (განა)

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება დასავლეთ აფრიკაში. აქ, განაში, ბევრ ბავშვს კვირის იმ დღის სახელს არქმევენ, როცა იბადებიან. მაგ., აფუა იმ გოგონას ჰქვია, რომელიც პარასკევ დღეს დაიბადა. მე მაკაფუი მქვია. ჩემი სახელი ჩემი დაბადების დღიდან არ მოდის, არამედ ნიშნავს: „მინდა ვადიდო ღმერთი“.

ღმერთს, სხვათა შორის, მუსიკითაც ვადიდებ. ვუკრავ ვიოლინოზე და ეკლესიის ორკესტრშიც ვარ.

განაში ათი მცხოვრებიდან დაახ. შვიდი ქრისტიანია. ჩემი თემის რამოდენიმე ერთმორწმუნე და-ძმასთან ერთად ეკლესიის შენობის წინ გადაგვიღეს სურათი.

ჩვენთან სკოლა ცხრაწლიანია. ვისაც სწავლის გაგრძელება უნდა, სკოლას გადასახადი უნდა გადაუხადოს. მაგრამ განაში ყოველი მესამე ბავშვი ვერ დადის სკოლაში: ჩრდილოეთის სოფლებში ძალიან ცოტა სკოლაა, დიდ ქალაქებში კი ბევრი ბავშვი ქუჩაში ცხოვრობს, სხვებს ოჯახების რჩენა და მუშაობა უწევთ. მე ქრისტიანულ სკოლაში დავდივარ. ასევე საკვირაო სკოლაში.

ფეხბურთს ჩვენთან ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეც ვთამაშობ ფეხბურთს, საბედნიეროდ, ყოველთვის შემიძლია ჩემს ძმებთან ერთად ვიბურთაო. თუ გზაში არ ვარ, პლეისტეიშენით ვთამაშობ.

ჩემი ოჯახი ხუთი წევრისგან შედგება: დედაჩემი გიფტი, მამაჩემი დავითი, ჩემი ძმა სელაზე (15), და აირამი (13) და მე. ჩემი მშობლები ადმინისტრაციის თანამშრომლად და წარმოების დირექტორად მუშაობენ.

ჩვენ აკრაში ვცხოვრობთ, რომელიც უდიდესი ქალაქი და თან ქვეყნის დედაქალაქია. აკრა პირდაპირ ზღვასთან მდებარეობს.

განელები ძირითადად ცხელ კერძებს მიირთმევენ; საუზმეზეც. ჩემი საყვარელი საჭმელი ღორის ხორცის კოტლეტია შემწვარი ბატატით. ზოგჯერ გვაქვს ხოლმე სახლში.



1957 წელს განა დამოუკიდებელი გახდა. პირველ პრეზიდენტს ერქვა კვამე ნკრუმა. აკრას ცენტრში მის საპატივსაცემოდ პარკი გააშენეს. იგი იქ არის დაკრძალული და ძეგლიც მის ხსოვნას ეძღვნება. დამოუკიდებლობის დღე საზეიმოდ აღინიშნება. ეს დღე უკვე გვიახლოვდება: 6 მარტი.

■ წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა, 02. 2024 წ.; ფოტოები: კერძო; stock.adobe: malajscy; Alekss; Sura Nualpradid; Diversity Studio

მოსაზრებანი მიცვალებულთა არსთან დაკავშირებით

რა მდგომარეობაში არიან ადამიანები საიქიოში? რა ხსნას სთავაზობენ განსვენებულებს, როდის და როგორ? - პასუხს ამაზე პირველმოციქულის ეს მოძღვრებითი წერილი იძლევა, რომელიც ახალსამოციქულო რწმენას ეფუძნება.

სულთმოფენობიდან მოყოლებული სულიწმიდა ქრისტეს ეკლესიაში იღვწის, რამეთუ იმოწმოს იესო ქრისტეზე და განადიდოს იგი (იოან. 16, 14). მისი ძალის წყალობით პირველმა მოციქულებმა იესოს მიერ მათთვის მინდობილი მისიის შესრულება შეძლეს. იესო შეჰპირდა მათ, რომ სულიწმიდა დაეხმარებოდა და საჭირო დროს მის სიტყვებს შეახსენებდა (მათ. 10, 20; იოან. 14, 26). ეს მაშინ მოხდა, როცა პეტრეს სინედრიონის წინაშე მოუწია წარდგომა. სულიწმიდამ მას იესოს ნათქვამი შეახსენა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე; ვერავინ მივა მამაჩემთან თუ არა ჩემს მიერ.“ ამით მან გამბედაობა შთაუნერგა პეტრეს ხალხისთვის იმის საუწყებლად, რომ ხსნის მისაღწევად იესო ქრისტეა ერთადერთი გზა.

სულიწმიდა ზუსტად ასევე მოქმედებს თანამედროვე მოციქულების მეშვეობით. იმ დავალების შესაბამისად, რომელიც მათ მათი მომავლინებლისგან მიიღეს, ყველას აუწყებენ, რომ ღმერთს მათი ხსნა სურს და, რომ ხსნის მიღწევის ერთადერთი გზა იესო ქრისტეს მიმართ რწმენა და მისი მიმდევრობაა. მას შემდეგ, რაც იესომ გამარჯვება მოიპოვა სიკვდილზე, ხსნის გზავნილი ეხება როგორც ცოცხლებს, ასევე მკვდრებს (1. პეტ. 4, 6).

ადამიანი საიქიოში

სიკვდილის მომენტში სული და სამშვინველი ადამიანის სხეულს საიქიოში მოსახვედრად ტოვებენ. სხეული იღუპება, მაგრამ გარდაცვლილის პიროვნულობა შენარჩუნებულია. ჩვენ გვწამს - და ეს ახალსამოციქულო რწმენის თავისებურებაა -, რომ განსვენებულები არჩევანის თავისუფლებას ინარჩუნებენ: მათ თავისუფლად შეუძლიათ გადაწყვიტონ, აირჩევენ თუ არა იესო ქრისტეს.

ადამიანის მდგომარეობა საიქიოში, ერთი მხრივ, დამოკიდებულია იესო ქრისტესთან სიახლოვეზე ან სიშორეზე, მეორე მხრივ კი - იმ დანაშაულის სიმძიმეზე, რომელიც ტვირთად აწევს მას და, რომლის სიმძიმის შეფასებაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია. ამ განსხვავებული სიტუაციების ასახვის მიზნით ბიბლია სხვადასხვა მაგალითებს იყენებს. 1. პეტ. 3, 19-ში ლაპარაკია ურჩ სულებზე, რომლებიც „საპყრობილეში“ იმყოფებიან. იესომ თქვა, რომ მამის სახლში „ბევრი სავანეა“ (იოან. 14, 2). ხანდახან საიქიოში არსებულ სხვადასხვა „სფეროებზე“ ვლაპარაკობთ. ცნება „საპყრობილე“, რომელიც ხშირად გვხვდება ამ კონტექსტში, სიტყვა-სიტყვით არ უნდა გავიგოთ. ეს მაგალითი მხოლოდ იმ ფაქტზე მიანიშნებს, რომ განსვენებულები ცოდვის ტყვეობაში რჩებიან და ამიტომაც ვერ უახლოვდებიან ღმერთს. ასევე არც ცნებები „სავანე“ ან „სფეროები“ ნიშნავს იმას, რომ ღმერთი ერთი და იგივე „პროფილის“ ყველა გარდაცვლილს ერთ „ადგილას“ უყრის თავს ან ამწყვდევს: ცბიერებს ცბიერებს შორის, მკვლელებს მკვლელებთან და ა.შ. ... ღმერთი კატეგორიების მიხედვით არ ახარისხებს ადამიანებს, თვითეულ მათგანს ის უყურებს როგორც უნიკალურ პიროვნებას! ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ განსვენებულთა მდგომარეობა იესო ქრისტესთან ურთიერთობაზე და მათი დანაშაულის სიმძიმეზეა დამოკიდებული.

ხსნის შეთავაზება დღეს

იესო ქრისტეში ხსნა აქ და საიქიოში არის წყალობა, რომელსაც ღმერთი ანიჭებს იმას, ვისაც სურს და როცა სურს. მის მიერ რჩეულებს ხსნისათვის ის სახარების გაცნობის შესაძლებლობას აძლევს. გადასარჩენად განსვენებულებმა, რომლებმაც წყალობა მიიღეს, იმის გადაწყვეტილებაც უნდა მიიღონ, რომ აღიარებენ სახარებას, იწამებენ იესო

ქრისტეს, მიიღებენ მოციქულების მიერ მინიჭებულ საიდუმლოებს და დაიცავენ სახარებას.

გვახსოვდეს, რომ დრო, რომელიც განსვენებულმა განსაზღვრულ „სფეროში“ გაატარა, მის ხსნაზე გავლენას არ ახდენს. ის, რომ იგი დიდი ხნის განმავლობაში „იტანჯებოდა“ „საპყრობილეში“, მის ავტომატურად გადარჩენას არ ნიშნავს. ღმერთთან მისასვლელად მხოლოდ ერთი გზა არსებობს, კერძოდ, იესო ქრისტეს მიმართ რწმენა!

საიდუმლოთა მიღების დროს ქრისტე განსვენებულებს ისევე „ათავისუფლებს“, როგორც ცოცხლებს: წყლით მონათლულები მემკვიდრეობითი ცოდვებისგან თავისუფლდებიან და ღმერთთან მიახლოება შეუძლიათ. სულიწმიდით მონათლულნი საუკუნო სიცოცხლის აღთქმას და ღვთის სასუფეველში პირმშოებად შესვლის შესაძლებლობას იღებენ. წმიდა ზიარების ღირსეული მიღება ქრისტესთან თანაზიარებაში ყოფნისა და ქრისტეს ხატისამებრ განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

როცა უფალი მეორედ მოვა, სულიწმიდის მეშვეობით მომზადებულ რჩეულებს, ამქვეყნიდან თუ იმქვეყნიდან, თავისთან წაიყვანს. მათი სული და სამშვინველი ახალ სხეულს მიიღებენ, აღდგომის სხეულს, რომლითაც ისინი ღვთის დიდებაში შევლენ.

ხსნის შეთავაზება მშვიდობის სამეფოში

ვინაიდან ღმერთს ყველა ადამიანის ხსნა სურს, ხსნის მიღწევა კი მხოლოდ იესო ქრისტეს მეშვეობით არის შესაძლებელი, ის ყველა მათგანს ქრისტეს სასარგებლო გადაწყვეტილების თავისუფლად მიღების შესაძლებლობას მისცემს. მშვიდობის სამეფოს არსებობის განმავლობაში ყველა ადამიანს ეუწყება ხსნა, ცოცხლებსაც და მკვდრებსაც. ყველას მიეცემა ქრისტეს მიმდევრობის შესაძლებლობა. ამ ჟამის ბოლოს ბოროტს ადამიანთა ცდუნების საშუალება მიეცემა. ამდენად, ყოველივე ამის სრული გაცნობიერებით ნებისმიერი შეძლებს და მოუწევს კიდეც, რომ გადაწყვეტილება ან ქრისტეს სასარგებლოდ მიიღოს, ან მის საწინააღმდეგოდ.

უკანასკნელი სამსჯავროს დროს ქრისტეს მიმდევრები ახალ შემოქმედებაში შევლენ. სხვები კი საბოლოოდ დაშორდებიან ღმერთს.

უნდა გვახსოვდეს შემდეგიც:

- სიკვდილის მომენტში ადამიანის ბედი საბოლოოდ რომ ყოფილიყო განსაზღვრული, კაცობრიობის დიდი ნაწილი ვერ მიაღწევდა ქრისტეში ხსნას.
- მოძღვრება, რომელიც ამბობს, რომ ღმერთს თავისი დიდი სიკეთით ადამიანთა გადარჩენა ქრისტესადმი რწმენის გარეშეც შეუძლია, შეუთავსებელია იმ მისიასთან, რომელიც იესომ თავის მოციქულებს დააკისრა. მოციქულები ვერ იუწყებენ ისეთ მოძღვრებას, რომელიც იესოს მოძღვრების საწინააღმდეგო იქნებოდა.
- მშვიდობის სამეფოს შესახებ მოძღვრება იმის რწმენას ეყრდნობა, რომ ღმერთს, ქრისტესადმი რწმენის მეშვეობით, ყველა ადამიანისათვის გადარჩენის შესაძლებლობის მიცემა უნდა.

ილუსტრაციები: TEERAPAT/stock.adobe

როგორ იცავს ღმერთი ეკლესიას?

სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ პეტრე მოციქული, როგორც მოციქულთა სპიკერი, ისე წარსდგა და იქადაგა; ამ ქადაგებამ 3000 კაცს მონათვლისკენ უბიძგა. მან ეს იესოს მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე გააკეთა.

მათ. 16, 18. 19-ში ვკითხულობთ: „მეც გეუბნები შენ: შენა ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევენ ჯოჯოხეთის ბჭენი. მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებებს და, რასაც შეჰკრავ მიწაზე, ზეცაშიც შეკრული იქნება, ხოლო რასაც გახსნი მიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც.“

ურღვევი ეკლესია

იესო ქრისტე აქ აცხადებს, რომ მისი ეკლესიის განადგურება შეუძლებელია: ბოროტი ძალების ყოველგვარი თავდასხმების მიუხედავად იგი გადარჩება! არ უნდა ვინერვიულოთ ქრისტეს ეკლესიის გადარჩენაზე. ყოვლისშემძლე ღმერთი დარაჯობს მას, ქრისტე სრულყოფამდე მიიყვანს თავის საქმეს.

თუმცა ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ აქ ქრისტეს ეკლესიაზეა ლაპარაკი, მხოლოდ და მხოლოდ მასზე. იესო ეკლესიაზე არ ლაპარაკობს როგორც ინსტიტუციაზე, რომელსაც გარკვეული სტრუქტურა და აქტიობები ახასიათებს, რასაც ჩვენს თემებში ვხედავთ. ქრისტეს აღთქმა ეხება მხოლოდ იმას, რასაც ეკლესიის არსი მოიცავს: სახარების ქადაგებას, საიდუმლოთა მოფენას და მორწმუნეთა ერთობას.



ილუსტრაციები: VectorMine/stock.adobe

ამდენად, იესომ მოციქულებს სახარების ქადაგება და საიდუმლოთა მინიჭება დაავალა. ეკლესიის არსებობასთან დაკავშირებული აღთქმა მოციქულთათვის მიცემულ აღთქმას შეესაბამება: „აჰა, მე თქვენთანა ვარ დღენიადაგ საუკუნის დასასრულამდე“ (მათ. 28, 20).

პრიორიტეტი „მუდმივს“ უნდა მიენიჭოს

ქრისტემ მოციქულებს შეკვრისა და გახსნის უფლებამოსილება გადასცა (მათ. 18, 18). ახალსამოციქულო კატეხიზმოს მიხედვით, 7. 6. 2-ში მოცემული ეს ფორმულირება ნიშნავს იმას, „რომ პირველმოციქულთან ერთად მოციქულები ეკლესიის სასულიერო ხელმძღვანელობას წარმოადგენენ და ადგენენ წესებს თემის ცხოვრებისათვის.“

იესოს მიერ მოციქულებისათვის მინდობილი ეკლესიის ხელმძღვანელობის მისია იმ აღთქმების შუქზე უნდა შესრულდეს, რომლებიც იესო ქრისტემ ეკლესიასა და მოციქულობასთან დაკავშირებით მოგვცა (მათ. 16, 18; 28,20). უფრო მეტი პრიორიტეტი, ვიდრე ოდესმე, იმას უნდა მიენიჭოს, რაც იმუდმებს უფლის მეორედ მოსვლამდე: სახარების უწყებას, საიდუმლოთა მინიჭებას და ერთობას. ამ პრიორიტეტებმა ასახვა უნდა ჰპოვოს პირადი და ფინანსური რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში.

კლდე როგორც მისაბაძი მაგალითი

იესომ პეტრეს დროის ძალიან კონკრეტულ მომენტში კლდე უწოდა, კერძოდ, მისი ამ აღიარების შემდეგ: „შენა ხარ ქრისტე, ძე

ცოცხალი ღვთისა“ (მათ. 16, 16). მოგვიანებით იესომ პეტრეს მისი ძმების გაძლიერების დავალება მიანდო (ლუკ. 22, 32). აღდგომის შემდეგ იესო ქრისტემ პეტრეს ჰკითხა: „გიყვარვარ?“ მხოლოდ მას შემდეგ, როცა პეტრეს სიყვარულში დარწმუნდა, უფალმა მას მისი სამწყსო მიანდო (იოან. 21, 15-17).

უწოდა რა იესომ პეტრეს კლდე, რომელსაც ბოროტ ძალებთან გამკლავების უნარი შესწევდა, ამით მან იგი მისაბაძ მაგალითად წარმოგვიდგინა. ვერაფერი დაგვაშორებს ქრისტეს, თუ ჩვენც პეტრესავით

- იესო ქრისტეს, ცოცხალი ღმერთის ძის, მიმართ მტკიცე რწმენა გვექნება;
- თავმდაბლები ვიქნებით და გვეცოდინება, რომ იესოს უნდა ვუმადლოდეთ ხსნას;
- ჭეშმარიტად სავსენი ვიქნებით იესო ქრისტესადმი სიყვარულით.

პეტრეს მსახურება

პეტრეს მსახურებას, ე. ი., კლდის მსახურებას, მათ. 16, 18-იც შეიძლება დავუკავშიროთ: „ამდენად, ღვთის ძემ ურღვევი კავშირი შეკრა კლდის მსახურებასა და მის ეკლესიას შორის. კლდის მსახურება და ქრისტეს ეკლესია ადამიანთა იესო ქრისტეში ხსნისათვის არის მოცემული“ (კატ. 7. 6. 6). იესო ქრისტემ დადო პირობა, რომ ფხიზლად უდარაჯებდა ეკლესიასა და მოციქულებს. პეტრეს მსახურების დაწესება იმ ზომების ნაწილია, რომლებსაც იესო ეკლესიის ბოროტი ძალებისგან დასაცავად იღებს.

„იმ მსახურებას და დავალებებს, რაც უფალმა პეტრე მოციქულს გადააბარა, დღეს პირველმოციქული ასრულებს. ამგვარად, იგი მოციქულთა შორის ერთობისათვის იღვწის, რაზედაც უფალი ლოცულობდა (იოან. 17, 20-23), და ასე აძლიერებს თავის ძმებს, მოციქულებს (ლუკ. 22, 32). ის ქრისტეს სამწყსოს ‘კრავებსა და ცხვრებს’ აძოვებს (იოან. 21, 15-17). პირველმოციქულის მსახურება მოძღვრების წმიდად შენახვასა და მის შემდგომ განვითარებაში ვლინდება, ასევე ახალი ცოდნის მიღებასა და სარწმუნოებრივი მოწმობების ერთობლივ გავრცელებაში. პირველმოციქული ეკლესიის წესებსაც ადგენს. ამ ამოცანებისგან შედგება პირველმოციქულის „გასაღებების უფლებამოსილება“ (კატ. 7. 6. 6).

მოციქულთა კრებაზე იერუსალიმში პეტრემ ეკლესიის ერთიანობა დაიცვა, შეაგონა რა ეკლესიის ხელმძღვანელებს, რომ მთავარზე მოეხდინათ კონცენტრირება (საქმე 15, 6-11). დღევანდელ დროში პირველმოციქულმა იმაზე უნდა იზრუნოს, რომ მოციქულები და სამხ. ეკლესიები, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, ერთიანი დარჩნენ, მიუხედავად განსხვავებული კულტურისა და ტრადიციებისა. ამას იგი იმაზე ყურადღების გამახვილებით აკეთებს, რაც ნამდვილად აუცილებელია ხსნისათვის.

პირველმოციქულმა ქრისტეს სამწყსოც უნდა აძოვოს ისე, როგორც კეთილმა მწყემსმა. განსაკუთრებით იმაზე უნდა იზრუნოს, რომ ქრისტეს ყველა ცხვარს ჰქონდეს ის, რაც გადარჩენისთვის სჭირდება. ამის მისაღწევად იგი ხელს უწყობს სხვადასხვა სფეროებს შორის სოლიდარობას ეკლესიაში.

როგორც ვიცით, პეტრე შორს იყო სრულყოფილებისგან. მაგრამ პეტრეს სისუსტეს ხელი არ შეუშლია ქრისტესთვის იმაში, რომ მის მიერ ეკურთხებინა თავისი ეკლესია. შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ, მისი მსახურების არასრულყოფილების მიუხედავად, ქრისტე თავის საქმეს სრულყოფამდე მიიყვანს!

(პირველმოციქულის მოძღვრებითი წერილიდან)

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

პროგრამა

13.10.2024 წ.	სან-ფრანცისკო (აშშ)
20.10.2024 წ.	გლაზგო (დიდი ბრიტანეთი)
03.11.2024 წ.	პნომპენი (კამბოჯა)
05.11.2024 წ.	სიემ რეაპი (კამბოჯა)
17.11.2024 წ.	კონაკრი (გვინეა)
22.11.2024 წ.	აკრა (განა)
08.12.2024 წ.	კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა)
15.12.2024 წ.	ომსკი (რუსეთი)
22.12.2024 წ.	ბად-კანშტადტი (გერმანია)
25.12.2024 წ.	დასადგენია (საფრანგეთი)
29.12.2024 წ.	აახენი (გერმანია)

New Apostolic Church
International